

ქ.თბილისი

2017 წლის 4 მაისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 4 მაისს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის გ. გოგეშვილის ოქმი, მოხსენებითი ბარათი, მთავარი მსაჯის თ. მოგელაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, მოხსენებითი ბარათი, ამა წლის 29 აპრილს, რეგიონალური ლიგის კალენდარულ მატჩზე კიკეთის „იუნკერები“-სა და ქედას „ფირალებს“ შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ქედის „ფირალები“-ს მორაგბემ სერგო მოქიამ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის მთავარ მსაჯს.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.2, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 2.2 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ქედის „ფირალები“-ს მორაგბე ს. მოქია დისკვალიფიცირებული იქნას 10(ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000 (ათასი) ლარით.
- 2 კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.2 პუნქტი და კლუბ ქედას „ფირალებს“, რეგიონალურ ლიგაში დააკლდება 10 (ათი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/